სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის
დეპარტამენტი

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის საბოლოო ანგარიში

19 თებერვალი, 2021

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია 3

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები 5
1. შემოსავლები 5
2. ხარჯები 6

III. მონიტორინგის შედეგები 7
1. შემოწირულებების, დეკლარაციების, განცხადებებისა და მონიტორინგის შედეგების შესწავლა 7
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები 8

I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, საკრებულოების შუალედური არჩევნების და მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების მონაწილე საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული შემოსავლების, ხარჯების და ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის შედეგების შესახებ.

2020 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 62-მა სუბიექტმა (49 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი და 11 დამოუკიდებელი კანდიდატი), რომელთაგან მეორე ტურში მონაწილეობდა 6 სუბიექტი.

საარჩევნო სუბიექტებს საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და საქართველოს გენერალური აუდიტორის ბრძანების[1] შესაბამისად, განესაზღვრათ საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- 01 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით ინფორმაცია – 24 სექტემბრამდე;
- 22 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია – 15 ოქტომბრამდე;
- 13 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია – 5 ნოემბრამდე;
- 01 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია – 12 ნოემბრამდე *(იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა);*
- 01 სექტემბრიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით პერიოდის ინფორმაცია – შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში *(არჩევნების პირველ ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ);*
- პირველი ტურის კენჭისყრის დღის (31 ოქტომბერი) შემდგომ განხორციელებული საქმიანობის ფინანსური ანგარიში – მეორე ტურის გამართვის დღემდე 3 დღით ადრე *(მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ);*
- 01 სექტემბრიდან არჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით ინფორმაცია – საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში *(მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ).*

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაახლა პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესი. განახლებული ინფორმაცია გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე და გაეგზავნა ყველა საარჩევნო სუბიექტს.

1 პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანება.

დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რის შემდეგაც ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც.

2020 წლის 21 სექტემბერს და 7 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრები საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა მათ მიერ შესასრულებელი მიმდინარე ვალდებულებები და საკანონმდებლო სიახლეები.

2020 წლის 8 ოქტომბერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, საარჩევნო თემაზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მიმდინარე პერიოდის დეკლარაციების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, შემოსული განცხადებებისა და შემოწირულებების შესწავლის სტატუსები და სხვ.

II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

1. შემოსავლები

საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო აქვთ: შემოწირულებები და საბიუჯეტო დაფინანსება.

ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ 1 სექტემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით[2] პერიოდში მიღებულია 46,764,250 ლარის შემოსავალი, კერძოდ:

N	საარჩევნო სუბიექტის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	შემოწირულება	სხვა შემოსავალი	ჯამური შემოსავალი[3]
1.	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1,162,544	15,887,144	1,000,000[4]	18,049,688
2.	ლელო საქართველოსთვის	-	5,880,036	-	5,880,036
3.	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	875,867	4,785,331	31,987	5,693,185
4.	ევროპული საქართველო	597,875	2,495,465	81	3,093,421
5.	სტრატეგია აღმაშენებელი	427,322	2,497,750	-	2,925,072
6.	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	629,367	1,886,805	41	2,516,213
7.	თავისუფალი საქართველო	396,911	439,000	180	836,091
8.	სოციალური სამართლიანობისთვის	-	716,319	-	716,319
9.	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	544,546	205,086	-	749,632
10.	თავისუფალი დემოკრატები	479,709	78,711	-	558,420
11.	ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა	445,641	190,640	-	636,281
12.	ტრიბუნა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	432,741	68,493	-	501,234
13.	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	398,861	7,600	-	406,461
14.	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	399,361	-	-	399,361
15.	მოძრაობა „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	394,661	-	-	394,661
16.	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	412,861	2,250	-	415,111
17.	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	472,019	120	-	472,139
18.	ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	-	262,257	-	262,257
19.	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	-	231,750	-	231,750
20.	მოძრაობა - თავისუფალი საქართველოსთვის	500,422	-	-	500,422
21.	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	505,393	6,000	-	511,393
22.	საქართველოს სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის	-	100,178	-	100,178
23.	ენზელ მკოიანი - დამოუკიდებელი კანდიდატი	-	127,500	-	127,500
24.	ანა დოლიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	-	126,256	107	126,363
25.	ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	-	89,453	-	89,453
	სხვა დანარჩენი სუბიექტები	-	571,610	-	571,610
	სულ ჯამი:	9,076,100	36,655,754	1,032,396	46,764,250

2 არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე.

3 ცხრილში სახელდებით მითითებულია ის სუბიექტები, რომელთა საარჩევნო პერიოდის ხარჯები აღემატება 100,000 ლარს.

4 საბანკო სესხის აღება.

2. ხარჯები

საარჩევნო სუბიექტების მიერ 1 სექტემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით[5] პერიოდში ჯამურად დახარჯულია 46,689,318 ლარი, კერძოდ:

N	საარჩევნო სუბიექტის დასახელება	რეკლამა[6]	შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები[7]	ჯამური ხარჯი[8]
1.	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	12,986,950	649,142	4,642,116	18,278,208
2.	ლელო საქართველოსთვის	4,524,085	374,616	949,825	5,848,526
3.	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	4,416,930	861,232	482,172	5,760,334
4.	ევროპული საქართველო	2,676,794	330,663	656,225	3,663,682
5.	სტრატეგია აღმაშენებელი	2,373,249	370,196	152,665	2,896,110
6.	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	1,738,192	487,715	349,024	2,574,931
7.	თავისუფალი საქართველო	331,263	381,110	116,733	829,106
8.	სოციალური სამართლიანობისთვის	83,842	457,500	168,794	710,136
9.	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	173,856	393,991	114,220	682,067
10.	თავისუფალი დემოკრატები	33,064	452,739	73,017	558,820
11.	ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა	106,649	211,431	191,036	509,116
12.	ტრიბუნა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	38,889	385,989	71,284	496,161
13.	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	8,967	393,370	9,249	411,586
14.	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	-	392,425	14,204	406,629
15.	მოძრაობა „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	3,400	75,700	315,633	394,733
16.	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	2,250	364,250	27,836	394,336
17.	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	112	375,684	9,430	385,226
18.	ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	229,773	1,952	19,118	250,843
19.	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	71,045	79,336	79,579	229,960
20.	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	-	162,159	27,101	189,261
21.	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	6,000	88,869	70,579	165,448
22.	საქართველოს სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის	134,437	1,605	26,930	162,972
23.	ენზელ მკოიანი - დამოუკიდებელი კანდიდატი	6,099	100,403	21,076	127,578
24.	ანა დოლიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	87,300	5,935	21,163	114,398
25.	ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	42,628	500	60,332	103,460
	სხვა დანარჩენი სუბიექტები	380,533	13,856	151,302	545,691
	სულ ჯამი:	30,456,307	7,412,369	8,820,642	46,689,318

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული შემოსავლებისა და ხარჯების გადამოწმების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს მათ შედარებას საბანკო ამონაწერებთან და მედიამონიტორინგის შედეგებთან.

5 არჩევნების დანიშვნიდან საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე.

6 რეკლამის ხარჯი არ შეიცავს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯებს.

7 ოფისების იჯარის ხარჯები, კომუნალური ხარჯები, მივლინების ხარჯები, კონფერენციების/ტრენინგების ხარჯები და სხვ.

8 ცხრილში სახელდებით მითითებულია ის სუბიექტები, რომელთა საარჩევნო პერიოდის ხარჯები აღემატება 100,000 ლარს.

III. მონიტორინგის შედეგები

1. შემოწირულებების, დეკლარაციების, განცხადებებისა და მონიტორინგის შედეგების შესწავლა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საარჩევნო შემოწირულებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 1,714 ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ. შემოსავლების დასაბუთების მიზნით, გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის გამოიკითხა 5 პირი. ასევე, ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, შემოსავლების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების წარმოდგენის მიზნით, წერილობითი მოთხოვნა გაეგზავნა, ჯამში, 161 შემომწირველ ფიზიკურ პირს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების შესწავლას როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო პერიოდში. არასაარჩევნო პერიოდში – 2020 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინეს 6 თვის[9] და საარჩევნო პერიოდამდე ყოველთვიური[10] ფინანსური დეკლარაციები.

რაც შეეხება საარჩევნო პერიოდს, საარჩევნო სუბიექტებმა წარმოადგინეს დეკლარაციები გენერალური აუდიტორის ბრძანების[11] შესაბამისად დადგენილი პერიოდების მიხედვით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა ყველა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო პერიოდის ფინანსური დეკლარაცია.

დეკლარაციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევით (ნაღდი ანგარიშსწორებით)[12] შემოწირულების განხორციელების რამდენიმე ფაქტი.[13] აღნიშნულ შემთხვევებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და მითითების საფუძველზე აღნიშნული დარღვევები გამოსწორდა.

საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული განცხადებების, სამსახურის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის მონაცემები ს და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად სულ დაიწყო 13 საქმის წარმოება, აქედან:

- ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

- ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

---

9 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით.

10 2020 წლის ივლისისა და აგვისტოს თვეების - ცალ-ცალკე.

11 პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანება

12 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 27 მუხლის მე-5 პუნქტი.

13 შემთხვევები ეხებოდა არაარსებითი თანხების პოლიტიკური სუბიექტების ანგარიშებზე ნაღდი ფორმით შეტანას.

- დასრულებულია სამართალწარმოება 10 საქმეზე, რომლებზეც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და სასამართლოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები.

- ერთ სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც ჯერ არ არის განხილული.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

- შესწავლილ იქნა შპს RMG Gold-ის და შპს „ლილო-მოლის“ თანამშრომლების მიერ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლოს ბრძანების საფუძველზე გამოითხოვა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან შემომწირველი პირების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოპოვებული დოკუმენტაციით, შემოწირულებების განხორციელების წინა ან შემდგომ პერიოდში საეჭვო ჩარიცხვები არ გამოვლენილა. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დასაბუთდა შემომწირველების მიერ შემოწირულებების განხორციელების შესაძლებლობა.

- მპგ „თავისუფალმა საქართველომ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ წარმოადგინა ინფორმაცია ნაღდი ფულით (5,450 ლარი) ანგარიშსწორების შესახებ. შედეგად, დაირღვა გენერალური აუდიტორის ბრძანებით[14] დამტკიცებული პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ პოლიტიკური პარტია ცნო სამართალდამრღვევად და მისცა გაფრთხილება.

- 2020 წლის აგვისტოში იურიდიულმა პირმა[15] – მპგ-ს „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ შესწირა 50,000 ლარი. აღნიშნული იურიდიული პირის წილის მფლობელია საქართველოს საზღვრებს გარეთ რეგისტრირებული კომპანია. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით,[16] ასეთი იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს შემომწირველი. შესაბამისად, განხორციელებული შემოწირულება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა აკრძალულ შემოწირულებად. სამსახურის მხრიდან აღნიშნული გარემოებების შესახებ პოლიტიკური პარტიის ინფორმირების შემდეგ, პარტიამ თანხა დააბრუნა შემომწირველი იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე.

---

14 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანება.

15 შპს „თამ მენეჯმენტი“.

16 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

ზემოაღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[17] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დაადგინა სამართალდარღვევა და იურიდიულ პირს მისცა შენიშვნა.

- 2020 წლის სექტემბერში ფიზიკურმა პირმა[18] 60,000 ლარი შესწირა მპგ-ს „ლელო საქართველოსთვის“, რის შედეგადაც 25,000 ლარით გადააჭარბა შემოწირულებისთვის კანონმდებლობით[19] დადგენილი ლიმიტის ოდენობას.[20] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აღნიშნული გარემოებების შესახებ პოლიტიკური პარტიის ინფორმირების შემდეგ პარტიამ თანხა უკან გადარიცხა შემომწირველი პირის საბანკო ანგარიშზე.

  ზემოაღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[21] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დაადგინა სამართალდარღვევა და ფიზიკურ პირს მისცა შენიშვნა.

- მპგ „თეთრებმა“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ წარმოადგინა გენერალური აუდიტორის ბრძანებით[22] დამტკიცებული „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესის“ მე-11 მუხლის შესაბამისად – ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ.

  აღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[23] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, პარტია ცნო სამართალდამრღვევად და მისცა გაფრთხილება.

- 2020 წლის 17 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ გავიდა პოლიტიკური შინაარსის ვიდეორგოლები, საერთო ხანგრძლივობით – 51 წუთი და 46 წამი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებგვერდიდან მოცემული ტარიფების მიხედვით, „ობიექტივის“ ეთერში გაშვებული ვიდეორგოლების ღირებულებამ 3,106 ლარი შეადგინა. ვიდეორგოლები სატელევიზიო ეთერში გაშვებულ იქნა უსასყიდლოდ, რაც ფაქტობრივად არის არაფულადი ფორმით განხორციელებული შემოწირულება. აღნიშნული შემოწირულებები პოლიტიკური პარტიის მიერ არ იყო დეკლარირებული. ამასთანავე, „მედიაკავშირი ობიექტივი“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. შესაბამისად, მის მიერ მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულება – აკრძალული შემოწირულებაა.

---

17 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-2 პუნქტი.

18 ივანე ხაზარაძე.

19 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები.

20 2020 წლის თებერვალში უკვე განხორციელებული ჰქონდა შემოწირულება - 25,000 ლარის ოდენობით.

21 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-2 პუნქტი.

22 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანება.

23 „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[24] გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დადგინდა სამართალდარღვევა, მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ დაჯარიმდა 6,212 ლარით და დაეკისრა ბიუჯეტში 3,106 ლარის გადარიცხვა.

- 2020 წლის 17 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ტელეკომპანია „გირჩი ტვ“-ის ეთერში გავიდა მპგ „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის“ პოლიტიკური რეკლამები, საერთო ხანგრძლივობით – 82 წუთი და 48 წამი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებგვერდზე მითითებული ტარიფების მიხედვით, „გირჩი ტვ“-ის ეთერში გაშვებული ვიდეორგოლების ღირებულებამ 828 ლარი შეადგინა. ვიდეორგოლები სატელევიზიო ეთერში გაშვებულ იქნა უსასყიდლოდ, რაც ითვლება არაფულადი ფორმით შემოწირულებად. აღნიშნული შემოწირულებები პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონდა დეკლარირებული.

  სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[25] გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დადგინდა სამართალდარღვევა, მპგ „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“ დაჯარიმდა 1,656 ლარით და დაეკისრა ბიუჯეტში 828 ლარის გადარიცხვა.

- 2020 წლის 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, პოლიტიკური პარტია „ქართული არჩევანის“ სასარგებლოდ ფიზიკური პირების მიერ განხორციელდა შემოწირულება ნაღდი ანგარიშსწორებით – 13,800 ლარის ოდენობით. აღნიშნული კანონმდებლობით[26] დადგენილი მოთხოვნის დარღვევაა, ვინაიდან შემოწირულების სახით ფულადი სახსრები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში არსებული შემომწირველის კუთვნილი ანგარიშიდან.

  ზემოაღნიშნულ ფაქტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[27] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დაადგინა სამართალდარღვევა და პარტია დაჯარიმდა 27,600 ლარით და დაეკისრა ბიუჯეტში 13,800 ლარის გადარიცხვა.

- 2020 წლის 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, პოლიტიკური პარტია „ჩვენი გაერთიანებული საქართველოს“ სასარგებლოდ ფიზიკური პირების მიერ განხორციელდა შემოწირულება ნაღდი ანგარიშსწორებით – 14,400 ლარის ოდენობით. აღნიშნული კანონმდებლობით[28] დადგენილი მოთხოვნის დარღვევაა, ვინაიდან შემოწირულების სახით ფულადი სახსრები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში არსებული შემომწირველის კუთვნილი ანგარიშიდან.

---

24 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
25 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
26 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
27 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის 1-ლი პუნქტი.
28 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

გარდა ამისა, აღნიშნული სააჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო პერიოდში განხორციელდა ნაღდი ფულის გატანის ოპერაციები − 2,770 ლარის ოდენობით. აღნიშნული ასევე ითვლება კანონმდებლობით[29] დადგენილი მოთხოვნების დარღვევად, ვინაიდან პარტია და საარჩევნო სუბიექტი ვალდებული არიან, საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება განახორციელონ მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ასევე პარტიის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ფორმა N15 საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის თაობაზე, აღნიშნული კი წარმოადგენს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ სამართალდარვევას.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები[30] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმეები, ორივე შემთხვევაში დაადგინა სამართალდარღვევა და ნაღდი ფულით შემოწირულების განხორციელების საქმეზე პარტია დაჯარიმდა 28,800 ლარით და დაეკისრა ბიუჯეტში 14,400 ლარის გადარიცხვა, ხოლო ნაღდი ფულის გატანის ფაქტზე მიეცა გაფრთხილება.

- საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შემოსული მასალების, ასევე მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსებისას შესაძლო კანონდარღვევის ფაქტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, თავისი მანდატის და კომპეტენციის ფარგლებში, დაიწყო მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებების კანონიერების შესწავლა.

  აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შემომწირველი 37 პირის შემოსავლების შესახებ. ასევე გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან შემომწირველი პირების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შემოსავლების დასაბუთების მიზნით გასაუბრებაზე დამატებით გამოიკითხა 2 შემომწირველი პირი. ერთ შემთხვევაში შემომწირველს არ გააჩნდა საკმარისი დეკლარირებული შემოსავლები დანაზოგის შესაქმნელად და, შესაბამისად, შემოწირულების განსახორციელებლად. ასევე შემომწირველმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული ინფორმაცია შემოწირულების თანხის წარმომავლობის შესახებ.

  ზემოაღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[31] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, თუმცა არ დაადგინა სამართალდარღვევა და შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა.

---

29 „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლი.

30 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტები.

31 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 34^2 მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

- მპგ „ქართულმა არჩევანმა“ სრული საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიში წარმოადგინა აუდიტის დასკვნის გარეშე. შედეგად, დაირღვა „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“[32] დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[33] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დაადგინა სამართალდარღვევა და პარტია დაჯარიმდა 5,000 ლარით.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „დავასრულოთ“ მიერ ფეისბუკგვერდებზე გაშვებული პოლიტიკური რეკლამის შემცველი ფასიანი ვიდეორგოლების განთავსების საკითხი.

  ფეისბუკგვერდების – „არქივი • Archive“, „პოლიტიკური მოთვალთვალე“ და „დავასრულოთ“ დასპონსორებული პოლიტიკური რეკლამების დაფინანსების წყაროდ მითითებულია ორგანიზაცია „დავასრულოთ“. კანონმდებლობის მიხედვით,[34] აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისაგან შემოწირულების მიღება.

  აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოითხოვა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან და საბანკო დაწესებულებებიდან აღნიშნული იურიდიული პირის, მისი დირექტორის და გამგეობის წევრების შემოსავლებისა და საბანკო ოპერაციების შესახებ.

  სასამართლოს განჩინების საფუძველზე კომერციული ბანკებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის 24 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით ფეისბუკრეკლამაში გადახდილია 415.03 აშშ დოლარი, რაც გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით შეადგენს 1,343.7 ლარს.

  ზემოაღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი[35] გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმე ამ ეტაპზე განხილული არ არის.

---

32 „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 192-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

33 სანქცია ითვალისწინებს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 5,000 ლარის ოდენობით.

34 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

35 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-2 პუნქტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE